

## შეტყობინება მეორე

### წინასწარმეტყველ იერემიას წიგნის ბირთვი

ადგილები წერილიდან: იერ. 2:13; 17:9; 13:23; 23:5-6; 33:16; 31:33-34

- I. იერემია წინასწარმეტყველის წიგნის ბირთვი მოიცავს სამ საკითხს: რა უნდა ჩვენგან ღმერთს, როგორები ვართ ჩვენს დაცემულ მდგომარეობაში, და რას წარმოადგენს ჩვენთვის ქრისტე; იმისათვის, რომ დავინახოთ ეს სამი რამ, ჩვენ უნდა „გავტეხოთ“ იერემია წინასწარმეტყველის წიგნის ნაჭუჭი და ყურადღება გავამახვილოთ მის შიგნით მყოფ ბირთვზე, რომელიც სრულად წარმოადგენს მთელი ბიბლიის სწავლებას.
- II. ის, რაც უნდა ჩვენგან ღმერთს, გადმოცემულია ძირითადად იერემიას 2:13-ში, სადაც ნაჩვენებია, რომ ჩვენი ღმერთი არის ცოცხალი წყლების სათავე:
- ა. ღმერთს თავის სახლმშენებლობაში განზრახული აქვს, რომ იყოს სათავე, საწყისი, ცოცხალი წყლების, რათა დაგვაკმაყოფილოს ჩვენ ჩვენი ტკობისათვის; მას უნდა, რომ ჩვენ მივიღოთ ის როგორც საწყისი, სათავე, ჩვენი არსებისა; ერთადერთი საშუალება, რომ მივიღოთ ღმერთი როგორც სათავე ცოცხალი წყლების არის ის, რომ დღითი დღე დავლიოთ ის – მუხ. 13; 1 კორ. 12:13; რომ. 11:36:
1. ამისათვის ჩვენ უნდა მუდმივად მოვუხმოთ უფალს (მადლიერებით, მხიარულებით, ლოცვითა და ქებით) და მხიარულებით ამოხაპეთ წყალი მისგან როგორც ცოცხალი წყლების სათავიდან – ესაია 12:3-4; იოანე 4:10, 14; რომ. 10:12; 1 თეს. 5:16-18; 4:3ა.
  2. ესაიას 12:3-ში ნაჩვენებია, რომ ღმერთის როგორც ჩვენი გადარჩენის მისაღებად, საჭიროა ამოვხაპოთ წყალი გადარჩენის წყაროებიდან, ანუ დავლიოთ ის – ფსალ. 36:8; იოანე 4:14; 7:37; 1 კორ. 12:13; გამოცხ. 22:17; 1 ნეშ. 16:8; ფსალ. 105:1; 116:1-4, 12-13, 17:
    - ა) იმისათვის რომ იყოს ჩვენი გადარჩენა, სამერთიანი ღმერთი გამზადდა, გახდა მაცოცხლებელი სული როგორც ცოცხალი წყალი, სიცოცხლის წყალი; ღმერთის მიერი პრაქტიკული გადარჩენა არის თვითონ გამზადებული სამერთიანი ღმერთი როგორც ცოცხალი წყალი – 1 კორ. 15:45; იოანე 7:37-39; გამოცხ. 7:17; 21:6; 22:1, 17.
    - ბ) სათავე არის დასაწყისი; წყარო არის ადგილი, საიდანაც ჩქეფს გამოდის სათავე, ხოლო მდინარე არის ნაკადი; გამოთქმა „გადარჩენის წყაროები“ გულისხმობს, რომ გადარჩენა არის დასაწყისი, ანუ სათავე; ღმერთი როგორც ჩვენი გადარჩენა არის დასაწყისი (ესაია 12:2). ქრისტე არის გადარჩენის წყაროები ჩვენი ტკობისათვის და განცდისათვის (იოანე 4:14), ხოლო სული არის ამ გადარჩენის დინება ჩვენში (7:38-39).
    - გ) იმისათვის, რომ დავტკბეთ გადარჩენით, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ თვით უფალი არის ჩვენი გადარჩენა, ციხე-სიმაგრე და სიმღერა და რომ, მისი სახელის მოხმობით, ჩვენ

შეგვიძლია სიხარულით ამოვხაპოთ წყალი გადარჩენის წყაროებიდან – ესაია 12:2-3.

- დ) წყლის ამოხაპვა ღვთაებრივი გადარჩენის წყაროებიდან მოიცავს მონანიებას, მოხმობას, გალობას, მადლიერებას, განდიდებას ღმერთისმიერი გადამრჩენელი საქმეების გაცხადებით – მუხ. 4-6.
  - ბ. როდესაც ცოცხალი წყალი შემოდის ჩვენში, ის გველენთს ჩვენ, გაივლის მთელ ჩვენს არსებას, და ჩვენ ვითვისებთ მას, ვიკვებებით მისით, გარდავისახებით, ვემსგავსებით მის სახებას და განვდიდებით – მუხ. 3; იოანე 4:10, 14; რომ. 12:2; 8:29-30.
  - გ. „წყალს, რომელსაც მე მივცემ მას, გახდება მასში წყლის სათავე, მჩქეფარე მარადიულ სიცოცხლეში“ – იოანე 4:14:
    - 1. სამერთიანი ღმერთი მოედინება ღვთაებრივ სამებაში სამ ეტაპზე: მამა არის სათავე, ძე არის წყარო, ხოლო სული არის მდინარე.
    - 2. სამერთიანი ღმერთის დინება მიმართულია „მარადიულ სიცოცხლეში“:
      - ა) ახალი იერუსალიმი არის მარადიული სიცოცხლის ჯამი, ხოლო სიტყვა, ნათარგმნი როგორც „ში“, აღნიშნავს „ხდება“; ამგვარად, გამოთქმა „მარადიულ სიცოცხლეში“ ნიშნავს „ხდება ჯამი მარადიული სიცოცხლის, ახალი იერუსალიმი.
      - ბ) როდესაც ჩვენ ვსვამთ ცოცხალ წყალს, ჩვენ ვხდებით ახალი იერუსალიმი, მარადიული სიცოცხლის ჯამი, მომდინარე სამერთიანი ღმერთის საბოლოო დანიშნულების ადგილი.
  - დ. ღმერთი არის სათავე ცოცხალი წყლების იმ მიზნით, რომ წარმოქმნას ეკლესია როგორც მისი გადიდება, რომელიც იქნება მისი სისავსე მისი გამოხატულებისათვის; ეს არის გულის სურვილი, სიამოვნება, ღმერთისა მის სახლმშენებლობაში – იერ. 2:13; გოდ. 3:22-24; 1 კორ. 1:9; ეფეს. 1:5, 9, 22-23.
  - ე. არაფერს, გარდა ღმერთისა როგორც ცოცხალი წყლების სათავის, არ შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი წყურვილი და დაგვაკმაყოფილოს ჩვენ; არაფერს, გარდა ღმერთისა, დარიგებულს ჩვენს არსებაში, არ შეუძლია გაგვხადოს ჩვენ მისი გადიდება მისი გამოხატულებისათვის – გამოცხ. 22:1, 17.
  - ვ. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყოველთვის, როდესაც ღმერთის ხალხს არ ყოფნის სიცოცხლის სული როგორც სიცოცხლის წყალი, მათ უჩნდებათ პრობლემები; როდესაც ღმერთის ხალხს აქვს გადამრჩენელი სულის როგორც ცოცხალი წყლის სიუხვე, მათი პრობლემები ერთმანეთთან და ღმერთთან გვარდება – გამ. 17:1-7; რიცხ. 20:2-13.
- III. კიდევ ერთი ასპექტი იერემია წინასწარმეტყველის წიგნის ბირთვისა არის ის, რომ ამხილოს, თუ როგორები ვართ ჩვენს დაცემულ მდგომარეობაში:**
- ა. „გული ყველაზე მეტად არის მატყუარა, და ის არის განუკურნებელი; ვის შეუძლია ამოიცნოს ის?“ – 17:9:
    - 1. აქ ნათქვამი კი ადამიანის მატყუარა და განუკურნებელ გულზე დაკავშირებულია ღმერთის სახლმშენებლობასთან და მის

დარიგებასთან; მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის გული გახრწნილია და მატყუარა და მისი მდგომარეობა არის განუკურნებელი, ასეთი გულიც კი შეიძლება იყოს ფიქალი, რომელზეც ღმერთი წერს თავისი სიცოცხლის კანონს – 31:33; შდრ. 2 კორ. 3:3.

2. ეს გვიხსნის, რომ ღმერთს აქვს შესაძლებლობა, ჩადოს თავისი თავი ადამიანში; როდესაც შედის ადამიანში, ღმერთი ვრცელდება ადამიანის სულიდან მის გულში; სწორედ ასე ღმერთი თავისი სახლმშენებლობის თანახმად მუშაობს დაცემული ადამიანის გულზე.
- ბ. „განა შეცვლის ქუშელი თავის კანს ან ჯიქი თავის ლაქებს? ასევე თქვენც ვერ შეძლებთ სიკეთის გაკეთებას – ბოროტებაში გაწაფულნი!“ – იერ. 13:23:
1. მას შემდეგ, რაც მიატოვა ღმერთი როგორც თავისი დასაწყისი, ცოცხალი წყლების სათავე (2:13), ისრაელი გახდა ბოროტი; მას ჰქონდა შეუცვლელი და ცოდვილი ბუნება, მსგავსი ქუშელის კანისა და ჯიქის ლაქებისა, რომლის შეცვლაც შეუძლებელია; ეს ამხელს დაცემული ადამიანის ჭეშმარიტ ბუნებას.
  2. როგორც დაცემულ ადამიანებს, ჩვენ ჩვენს თავში, ჩვენი და ჩვენი მეშვეობით, ჩვენ არ შეგვიძლია განვიკურნოთ ან შევიცვალოთ – რომ. 7:18; მათე 12:34-35; 15:7-11, 18-20; 1 ნეშ. 28:9; შდრ. ეზეკ. 36:26-27; იერ. 32:39-40.
- გ. თითოეული, ვინც ნამდვილად ხედავს უფლის ხედვას მის დიდებაში, ღებულობს თავის სინდისში გაბრწყინებას თავის უწმიდურობასთან დაკავშირებით; ის, თუ რამდენად ღრმად ჩვენი გაცნობიერება ჩვენ თავთან დაკავშირებით, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ვხედავთ უფალს – ესაია 6:5; იოანე 12:41; იობი 42:5-6; შდრ. ლუკა 5:8:
1. რაც უფრო მეტად ვხედავთ უფალს და ვართ მხილებულნი, უფრო მეტად ვიწმინდებით; ჩვენი ურთიერთობა უფალთან უნდა შევინარჩუნოთ უფლის სისხლით მუდმივად განწმენდის მეშვეობით – 1 იოანე 1:7, 9.
  2. ახალი აღთქმისეული აზრით, დავინახოთ ღმერთი – იგივეა, რაც მოვიპოვოთ ღმერთი ჩვენს პირად განცდაში; მოვიპოვოთ ღმერთი – ნიშნავს მივიღოთ ღმერთი მის ელემენტში, მის სიცოცხლეში და მის ბუნებაში, რათა გავხდეთ ღმერთი სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა ღვთაებაში.
  3. როდესაც ჩვენ ვხედავთ ღმერთს, ეს გარდაგვსახავს ჩვენ (2 კორ. 3:16, 18; მათე 5:8), რადგან, როდესაც ვხედავთ ღმერთს, ჩვენ ვღებულობთ ჩვენში მის ელემენტს და ჩვენი ძველი ელემენტი გამოდის ჩვენგან; დავინახოთ ღმერთი – ნიშნავს გარდავისახოთ ქრისტეს, ღმერთკაცის დიდებულ სახებად, რათა გამოვხატოთ ღმერთი მის სიცოცხლეში და წარმოვადგინოთ ის მის ძალაუფლებაში.
  4. ის ღმერთი, რომელსაც ჩვენ დღეს ვუმზერთ, არის დასრულებული სული, და ჩვენ შეგვიძლია ვუყუროთ მას ჩვენს სულში; ჩვენი დილის სიფხიზლის დროს, მაშინაც კი თუ ეს არის თხუთმეტი-ოცი წუთი,

ჩვენ გვაქვს დრო, რომ ვიყოთ უფალთან, დრო იმისათვის, რომ დავრჩეთ სულში.

5. ჩვენ შეგვიძლია ღოცვით ვიკითხოთ უფლის სიტყვა, ველაპარაკოთ მას, ან ვილოცოთ მის წინაშე მოკლე ღოცვებით; მაშინ ჩვენ გაგვიჩნდება იმის შეგრძნება, რომ ჩვენ ვღებულობთ რაღაცას ღმერთის ელემენტისაგან, რომ ჩვენ ვიწოვთ ღმერთის სიმდიდრეს ჩვენს არსებაში; ასე ჩვენ დღითი დღე ვექვემდებარებით ღვთაებრივ გარდასახვას; ეს ხდება მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჩვენ ვუმზერთ თვით დასრულებულ ღმერთს როგორც სულს ჩვენს სულში.
6. რაც უფრო მეტად ვხედავთ ღმერთს, ვიცნობთ ღმერთს და გვიყვარს ღმერთი, უფრო მეტად გვრცხვენია ჩვენი თავის და უფრო მეტად უარყოფთ ჩვენს თავებს – იობი 42:6; მათე 16:24; ლუკა 9:23; 14:26.

#### IV. მესამე ასპექტი იერემიას წიგნის ბირთვისა დაკავშირებულია იმასთან თუ რას წარმოადგენს ქრისტე ჩვენთვის:

- ა. აჰა, მოდის დღეები, ამბობს იეჰოვა, და აღვუდგენ დავითს მართალ ყლორტს... ესაა სახელი, რომელსაც უწოდებენ: იეჰოვა – ჩვენი სამართლიანობა! – მუხ. 23:5-6; შდრ. 33:16:
  1. გამოთქმა „*იეჰოვა ჩვენი სამართლიანობა*“ მიუთითებს ქრისტეზე მის ღვთაებრიობაში, ხოლო გამოთქმა „*მართალ ყლორტს*“ – ქრისტეზე მის ადამიანობაში.
  2. სახელი აქ (იეჰოვა ჩვენი სამართლიანობა) მიუთითებს იმაზე, რომ ქრისტე როგორც დავითის მემკვიდრე არის არა მარტო ადამიანი, არამედ თვით იეჰოვაც, რომელმაც შექმნა ცანი და დედამიწა, ამოირჩია აბრაამი, განამტკიცა ისრაელის მოდგმა და იყო დავითის უფალი – ის, ვისაც დავითი უწოდებდა უფალს (მათე 22:42-45; შდრ. გამოცხ. 5:5; 22:16); ქრისტე მოვიდა როგორც დავითის ყლორტი (დავითის ძე), თვითონ იეჰოვა (დავითის უფალი), რათა გამხდარიყო ღმერთის ხალხის სამართლიანობა (1 კორ. 1:30):
    - ა) ქრისტეს გამოსყიდვის საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია ვირწმუნოთ მასში ღმერთის პატიების მისაღებად (საქმე. 10:43) და ღმერთს შეუძლია, გაგვამართლოს ჩვენ (რომ. 3:24, 26) და შეგვმოსოს ჩვენ ქრისტეთი როგორც სამართლიანობის მოსახსნამით (ესაია 61:10).
    - ბ) ეს შესაძლებლობას აძლევს ქრისტეს როგორც სამერთიანი ღმერთის განკაცებას (კოლ. 2:9), რომ შემოვიდეს ჩვენში როგორც ჩვენი სიცოცხლე (3:4ა), ჩვენი სიცოცხლის შინაგანი კანონი (იერ. 31:33) და ყველაფერი ჩვენთვის, რათა დაარიგოს თავისი თავი მთელ ჩვენს არსებაში ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის განსახორციელებლად.
- ბ. თვითონ ქრისტე არის სიცოცხლის ახალი აღთქმა, სიცოცხლის ახალი ანდერძი, რომელიც მოგვცა ჩვენ ღმერთმა – ესაია 42:6; 49:8; იერ. 31:31-34; ებრ. 8:8-12:

1. ბერძნულ ენაზე ერთი და იგივე სიტყვა აღნიშნავს „*ალთქმა*“ და „*ანდერძს*“:
  - ა) „*ალთქმა*“ და „*ანდერძი*“ არის ერთი და იგივე, მაგრამ, სანამ ანდერძის დამწერი ცოცხალია, ეს არის ალთქმა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ, ეს არის ანდერძი; თუ ვისაუბრებთ თანამედროვე ტერმინებით, ანდერძი არის ანდერძის დამწერის ნება.
  - ბ) ალთქმა არის შეთანხმება, რომელიც შეიცავს ზოგიერთ დაპირებას, რომ გაკეთდეს გარკვეული რამ იმისათვის, რომ ადამიანები გახდნენ ალთქმის მონაწილეები, ხოლო ანდერძი არის ანდერძის დამწერის ნების გამოხატულება, რომელშიც არის გარკვეული საკითხები, რომელიც ანდერძის თანახმად ეკუთვნის მას ვინც უნდა მიიღოს – 9:16-17; მდრ. რჯლ. 11:29; 28:1, 15; იერ. 31:31-32.
2. კანონის ძველი ალთქმა წარმოადგენს ღმერთის გამოხატულებას, ხოლო მადლის ახალი ალთქმა – ღმერთის პიროვნებას – იოანე 1:16-17:
  - ა) როდესაც ჩვენ გვწამს ქრისტეში, ამ გამოხატულების პიროვნება შემოდის ჩვენში, და ის ასრულებს ჩვენში კანონის სამართლიან მოთხოვნებს, მასთან ერთად, რაც ჩვენ დავდივართ სულის თანახმად და მივმართავთ ჩვენს გონებას სულისაკენ – ეზეკ. 36:26-27; რომ. 8:2, 4, 6, 10.
  - ბ) თავისი სიკვდილით ქრისტემ აღასრულა ღმერთის სამართლიანობის მოთხოვნები ღმერთის კანონის თანახმად და შეიყვანა მოქმედებაში ახალი ალთქმა (6:23; 3:21; 10:3-4; ლუკა 22:20; ებრ. 9:16-17), ხოლო თავის აღდგომაში ის გახდა ახალი ალთქმა იმ ყველაფერთან ერთად, რაც არის მასში ნაანდერძევი (1 კორ. 15:45ბ; ესაია 42:6; ფილიპ. 1:19).
  - გ) თავის ამადლებაში ქრისტემ გახსნა ახალი ალთქმის გრაგნილი ღმერთის სახლმშენებლობის შესახებ, ხოლო თავის ზეციურ მსახურებაში როგორც შუამავალი, აღმასრულებელი, ის ახორციელებს მის შინაარსს – გამოცხ. 5:1-5, ებრ. 8:6; 9:15; 12:24.
  - დ) როგორც ლომმა იუდას ტომიდან, ქრისტემ გაიმარჯვა და გაანადგურა სატანა, როგორც გამომსყიდველმა კრავმა, ქრისტემ წაიღო ცოდვა და ცოდვები დაცემული ადამიანისა, ხოლო როგორც შვიდი სული, ქრისტე გვავსებს ჩვენ თავისით როგორც ახალი ალთქმის გრაგნილის შემადგენლობით – გამოცხ. 5:5-6; იოანე 1:29.
  - ე) ამ ალთქმით ჩვენ გვაქვს მოცემული ღმერთის გადარჩენა, ღმერთის კურთხევები და ღმერთის მთელი სიმდიდრე, და ეს ალთქმა არის ქრისტე; სინამდვილე ყველაფრისა, რაც არის ნაანდერძევი ახალ ალთქმაში – ასობით სხვადასხვა რამ – არის ქრისტე; ღმერთმა გვიანდერძა ჩვენ თავისი თავი ქრისტეში

როგორც სულში – დაბ. 22:18ა; გალ. 3:14; 1 კორ. 1:30; 15:45ბ; ეფეს.1:3; 3:8; იოანე 20:22.

3. ჩვენი სული არის „საბანკო ანგარიში“, სადაც არის ყველაფერი, რაც არის ახალი აღთქმის ანდერძში; სიცოცხლის სულის კანონის მეშვეობით ყველაფერი ნაანდერძევი რიგდება ჩვენში და ხდება ნამდვილი ჩვენთვის – რომ. 8:2, 10, 6, 11, 16; ებრ. 8:10; იოანე 16:13.
4. ცენტრი, შინაარსი და სინამდვილე ახალი აღთქმისა არის სიცოცხლის შინაგანი კანონი (რომ. 8:2); თავისი არსით ეს კანონი აღნიშნავს ღვთაებრივ სიცოცხლეს, ხოლო ღვთაებრივი სიცოცხლე არის სამერთიანი ღმერთი, რომელიც განსხეულებულია ყოვლისმომცველ ქრისტეში და რომელიც გახდა ნამდვილი ჩვენთვის როგორც მაცოცხლებელი სული (კოლ. 2:9; 1 კორ. 15:45); ის არის გამზადებული და დასრულებული, რათა გახდეს ყველაფერი თავისი ამორჩეული ადამიანებისათვის:
  - ა) ახალ აღთქმაში ღმერთი ნერგავს თავის თავს თავის ამორჩეულ ადამიანებში როგორც მათ სიცოცხლეს, ხოლო ეს სიცოცხლე წარმოადგენს კანონს, სპონტანურ ძალას და ავტომატურ პრინციპს – ებრ. 8:10; რომ. 8:2.
  - ბ) რაც შეეხება მის სიცოცხლეს, ახალი აღთქმის კანონი არის გამზადებული სამერთიანი ღმერთი, ხოლო რაც შეეხება მის ფუნქციებს, ეს არის ყოვლისშემძლე ღვთაებრივი შესაძლებლობა; ამ შესაძლებლობას შეუძლია გააკეთოს ჩვენში ყველაფერი ღმერთის სახლმშენებლობის განსახორციელებლად.
  - გ) არსებითად ეს კანონი არის ღმერთი ქრისტეში როგორც სული, ხოლო ფუნქციის თვალსაზრისით მას გააჩნია შესაძლებლობა, რომ გაგვხადოს ღმერთი ჩვენ (მუხ. 2, 10, 6, 11, 28-29); გარდა ამისა, სიცოცხლის შინაგანი კანონის შესაძლებლობა გვხდის ჩვენ შემადგენლობით ქრისტეს სხეულის ასოებად (1 კორ. 12:27; ეფეს. 5:30) ყოველგარი სახის ფუნქციით (რომ. 12:3-8; ეფეს. 4:11, 16).
  - დ) სიცოცხლის კანონის დაწერა ჩვენს გულზე შეესაბამება ახალ აღთქმისეულ სწავლებას ღვთაებრივი სიცოცხლის გავრცელების შესახებ ჩვენი არსების ცენტრიდან, ჩვენი სულიდან, გარშემოწერილობამდე, ჩვენს გულამდე (ებრ. 8:10; რომ. 8:9; ეფეს. 3:17); ღმერთი წერს თავის კანონს ჩვენს გულზე, იმის მეშვეობით, რომ ვრცელდება ჩვენი სულიდან ჩვენს გულში, რათა დაწეროს ის, რასაც თვითონ წარმოადგენს, ჩვენს არსებაზე (2 კორ. 3:3).
  - ე) ჩვენში მყოფი ღვთაებრივი სიცოცხლის სპონტანური, ავტომატური ფუნქციის წყალობით, ჩვენ გვაქვს უნარი, რომ ვიცნობდეთ ღმერთს, რომ ვიცხოვროთ ღმერთი და გავხდეთ კიდევაც ღმერთი მისი სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა ღვთაებაში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენ გავხდეთ მისი გადიდება, მისი

გაფართოვება, რათა ვიყოთ მისი სისავსე მისი მარადიული  
გამოსატყულებსათვის – ეფეს. 3:16-21.